შფოთვა, ცხოვრებით კმაყოფილება და გამკლავების ქცევები პანდემიის დროს

ანა კაპატაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:ია შეყრილაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კაპატაძე

17.06.2021

მადლობა

გაწეული დახმარებისთვის, რჩევებისთვისა და უკუკავშირისთვის დიდ მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ქალბატონ ია შეყრილაძეს. მადლობა მას ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოჩენილი თანადგომისთვისა და თანამშრომლობისთვის.

აბსტრქატი

კორონა ვირუსი და მასთან დაკავშირებული გამოწვევები დღევანდელ მსოფლიოში მეტად აქტუალური და მწვავე საკითხია. უამრავი კვლევა ჩატარდა იმასთან მიმართებით, თუ რა გავლენა მოახდინა ვირუსის პრევენციასთან დაკავშირებულმა რეგულაციებმა სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. კვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანების კეთილდღეობაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა იმ საჭირო ცვლილებებმა, რომლებიც კორონა ვირუსს ახლდა თან.

წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანი იყო შეესწავლა, თუ რა გავლენა იქონია პანდემიასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა და გამოწვევებმა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის შფოთვაზე, ცხოვრებით კმაყოფილებასა და გამკლავების ქცევებზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 732-მა მონაწილემ, რომელთა ასაკიც იყო 18 წელზე მეტი.

კვლევაში ნაცადი იყო პანდემიის დროს ისეთ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, როგორიცაა: რა კავშირია შფოთვასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის, რა კავშირია შფოთვასა და გამკლავების ქცევებს შორის, რა კავშირია ცხოვრებით კმაყოფილებასა და გამკლავების ქცევებს შორის, რა გენდერული და ასაკობრივი სხვაობები არსებობს ძირითად საკვლევ ცვლადებთან მიმართებით და ასევე, რა კავშირია ოჯახურ მდგომარეობასა და ძირითად საკვლევ ცვლადებს შორის.

შედეგებმა გამოავლინა, რომ მონაწილეების შფოთვასა და ცხოვრებით კმაყოფილებას შორის არსებობდა უარყოფითი კავშირი, ასევე უარყოფითი კავშირი გამოვლინდა შფოთვასა და გამკლავების ქცევებს შორის. ცხოვრებით კმაყოფილებასა და გამკლავების ქცევებს შორის კი დადებითი ხასიათის კავშირი დადასტურდა. აღმოჩნდა, რომ ასაკი დადებით კავშირში იყო გამკლავების ქცევების სიხშირესთან და ცხოვრებით კმაყოფილებასთან. შფოთვასა და ასაკს შორის კავშირი არ გამოვლენილა. პანდემიის დროს ქალ მონაწილეებს მამაკაცებთან შედარებით ჰქონდათ მაღალი შფოთვის დონე, ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი და გამკლავების ქცევები. დაქორწინებულ

ადამიანებში გამოვლინდა დაბალი შფოთვის დონე, მაღალი ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი და მაღალი გამკლავების ქცევების მაჩვენებელი. ადამიანებს, რომლებსაც უწევდათ სამსახურში/სასწავლებელში სიარული ჰქონდათ უფრო მაღალი ცხოვრებით კმაყოფილების ხარისხი, ხოლო სამსახურში/სასწავლებელში სიარულსა და შფოთვას შორის კავშირი არ გამოვლენილა, ასევე კავშირი არ იყო სამსახურში/სასწავლებელში სიარულსა გამკლავების ქცევებს შორის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შფოთვა, ცხოვრებით კმაყოფილება, გამკლავების ქცევები

Abstract

Nowadays the Coronavirus and its related challenges tend to be a very topical and severe issue. Numerous studies have been conducted on the impact of virus prevention regulations on the mental health of people in different countries. Studies have shown that the compulsory changes that accompanied the Coronavirus have a significant impact on human well-being.

The main purpose of this study was to investigate the impact of pandemic-related difficulties and challenges on the anxiety, life satisfaction and coping behaviors of the Georgian adult population. The study involved 732 participants over the age of 18 years.

The aim of the study was to answer questions posed during a pandemic such as: What is the connection between anxiety and life satisfaction; What is the connection between anxiety and coping; What is the connection between life satisfaction and coping; What are the gender and age differences towards the variables of major researches? What is the connection between marital status and the main study variables.

The results revealed that there was a negative correlation between participants' anxiety and life satisfaction, as well as a negative correlation between anxiety and coping. A positive association between life satisfaction and coping has been confirmed. Age was found to be positively correlated with the frequency of coping and life satisfaction. No association was found between anxiety and age. During the pandemic, the female participants tended to have higher levels of anxiety, quality of life satisfaction, and coping behaviors than males. Married people showed low levels of anxiety, a high degree of life satisfaction, and a high rate of coping behaviors. People who had to walk to work/school had a higher quality of life satisfaction; no correlation was found between walking/working and anxiety, moreover, there was no correlation between coping at work/school.

Keywords: Anxiety, Life Satisfaction, Coping